



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №11

2014 წლის 25 ივნისი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების (გერბის და დროშის) დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად:

1. დამტკიცდეს საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან შეთანხმებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გერბის და დროშის გამოსახულებები:

- ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გერბის და დროშის გამოსახულებები, დანართი №1;
- ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გერბის აღწერილობა, დანართი №2;
- გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დროშის აღწერილობა, დანართი №3.

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების გამოყენება მოხდეს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დადგენილი წესით.

3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე




ამირან გიგინეიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გერბი და დროშა



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გერბი



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დროშა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გერბი

(აღწერილობა)

გერბის ფარი გაყოფილია 4 თანაბარ ნაწილად. I ნაწილი – მეწამულ ველზე გამოსახულია ოქროს შველი და ვერცხლის ცხრა ქიმიანი ვარსკვლავი. II ნაწილი – ზურმუხტოვან ველზე გამოსახულია ზეადმართული ოქროს ხელები ლელოს ოქროს ბურთით. III ნაწილი - ვერცხლის ველზე გამოსახულია ზურმუხტოვანი მთები. IV ნაწილი -ლაჟვარდოვან ველს მარჯვნიდან მარცხნივ გადაკვეთს ვერცხლის შვიდი ტალღოვანი სარტყელი.

გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი – სამკოშკიანი ქონგურებიანი გალაგანი (ციხე-სიმაგრის ფორმის) ნახევრადლია კარიბჭით.

ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-მეწამული ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავად ჩაწერილია დევიზი „ლანჩხუთი“.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დროშა

(აღწერილობა)

დროშა ვერტიკალურად თანაბრად გაყოფილია მეწამულ და ზურმუხტოვან ველებად. მეწამულ ველზე ზედა მარჯვენა კუთხეში გამოსახულია ვერცხლის ცხრაქიმიანი ვარსკვლავი. დროშას ჰორიზონტალურად გადაკვეთს ვერცხლის შვიდი ტალღოვანი სარტყელი.

დროშის პროპორციაა 2:3.